

საქართველოს კანონი

„საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №11, 29.03.2005 წ., მუხ.68) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დამზღვევი - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, რომელიც იხდის სადაზღვევო შენატანს დაზღვეულის სასარგებლოდ;

გ) მზღვეველი - გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის სრულწლოვანი წევრის (წევრების) მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შერჩეული, საქართველოში ლიცენზირებული და რეგისტრირებული, სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც დამზღვევთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის წევრთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას.“.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის წევრთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ამ კანონით, აგრეთვე დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.“.

3. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის პენსიის დარიცხვას, დაანგარიშებასა და გადახდას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანო.“.

მუხლი 2. სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი“ რეორგანიზებულ იქნეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოდ“. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო წარმოადგენს სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლეს, გარდა სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო

აკადემიური სტიპენდიის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის (ე.წ. რეგრესული პენსიების), ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების, ელექტროენერჯის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის, ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირების) მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის კომპენსაციის, 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების ანაზღაურებისა“.

მუხლი 3. ეს კანონი გარდა მე-2 მუხლისა ამოქმედდეს 2006 წლის 25 დეკემბრიდან.

მუხლი 4. ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს“ დებულების დამტკიცებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი